# ხელშეკრულება 21

ქ.ლაგოდეხი 04.01.2011წ.

## 1. მხარეები

ერთის მხრივ შ.პ.ს.„კეთილმოწყობის" დირექტორი: დ.ლეჟავას სახით შემდგომში „მყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს„სასწორი" სახით შემდგომში „გამყიდველი", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი II. ხეკშეკრულების საგანი

2.1. „მყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს შესასყიდი მასალების ღირებულება:2600 ლარი, ხოლო „გამყიდველი" მოვალეა მიაწოდოს და გადსცეს „მყიდველს" ჩარიცხული თანხის პროპორციულად მასალები.

## მუხლი III. მხარეთა მოვალეობები

3.1. გამყიდველი ვალდებულია:

3.1.1. გადასცეს მყიდველს მასალები ხარისხისა და სტანდარტების შესაბამისად.

3.1.2. გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი „მიღება-ჩაბარების აქტით".

3.2. მყიდველი ვალდებულია

3.2.2. მიღებისთანავე შეამოწმოს საქონლის რაოდენობა, ხარისხი და შეადგინოს შესაბამისი დოკუმენტი;

3.2.3. თუ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, აღმოჩდება საგნის ისეთი ნაკლი, რომელზედაც პასუხისმგებელია გამყიველი, მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველს არსებული ნაკლის შესახებ და ნაკლის აღმოფხვრის შემდეგ, მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების" აქტს;

## IV. ანგარიშსწორებისა და ანაზღაურების ფორმა

4.1. გაყიდულ საქონელზე გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით საქართველოს ეროვნული ვალუტით, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

## V. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეებს, სამოქალაქო კანონმდებლობის ფარგლებში, ეკისრებათ დაზარალებული მხარისათვის მიყენებული ზიანისა და მიუღებელი მოგების ანაზღაურება. ამ შემთხვევაში მტკიცებულების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხსრეს.

## VI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

6.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;

6.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:
6.2.1. მხარეთა შეთანხმებით;
6.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში, რის შესახებაც წერილობით უნდა ეცნობოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს.

## VII. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით მათ შორის მიწისძვრით, წყალდიდობით, ხანძრით, ეპიდემიით დასხვა;

7.2. დაუძლეველ ძალად ითვლება საგანგებო გარემოება, რომელიც შეიქმნა მხარეთა ნების გარეშე და რომლის მოქმედებასაც მათ არ შეუძლიათ შეეწინაღმდეგონ, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შექმნილ სიტუაციაში მათ მიიღეს და გაატარეს ყველა ღონისძიება რისი გათვალიწინებაც კი შესაძლებელი იყო.

## VIII. დავათა განხილვა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ურთიერთშეთანხმების გზით მოაგვარონ ყოველგვარი სადაო საკითხი წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან;
8.2. ვადის გადაჭრა არ მოხერხდება ურთიერთშეთანხმების გზით დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

## X. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და გრძელდება 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

## XI. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

11.2. ისეთ შემთხვევაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

## XII მხარეთა რეკვიზიტები

| მყიდველი: | გამყიდველი: |
| --- | --- |
| შ.პ.ს.„კეთილმოწყობა" | შ.პ.ს„სასწორი" |
| დირექტორი: /დ.ლეჟავა/ | |
| ლიბერთი ბანკის ლაგოდეხის ფ-ლ | ს/კ 433101010 |
| საიდენ.კოდი 233113341 | |
| ა/ნ GE28LB0011315910134300 0 | |